



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო31.31213071

თარიღი:03/11/2021

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N16

ქ. ლანჩხუთი

29. 10. 2021 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნახაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვიციანი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზევალავა.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააჩნო საკრებულოს წევრის ამირან ქანთარიას წერილი, რომლითაც ის მადლობას უხდის საკრებულოს ყველა იმ წევრს, რომელიც სიჩქევით თუ საქმით პატიოსნად და სინდისიერად ემსახურა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააჩნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვერიკო კვიციანი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.**

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის, შენობა - ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიაძემ**. მან აღნიშნა, რომ ორგანიზაციაში ინვენტარიზაცია ტარდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესაბამისად, ძირითადი საშუალებების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი საშუალებებისა და ანგარიშსწორებათა ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესაბამისად. წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული (ბალანსზე რიცხული) ქონების ინვენტარიზაციის და ამორტიზირებული ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან შენობა-ნაგებობის დემონტაჟის ან/და ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერ სახით განკარგვის წესების დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტი. ამ პროექტის მომზადება გამოიწვია იმან, რომ მუნიციპალიტეტი ინვენტარიზაციის საკითხებს ხელმძღვანელობს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ (ბალანსზე რიცხულ) ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზირებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებით, რომელიც მოძველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N23 (29.10.2021)**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულში უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მინიჭების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 მარტის N19 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვიციანი**. მისი განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილების მიხედვით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წერილობითი მომართვის საფუძველზე

ზუსტდება, რომ ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წყალწმინდაში ხდება უსახელო ქუჩისთვის ყვავილნარის სახელის მინიჭება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 18 წევრი.
მომხრე საკრებულოს 18 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N49 (29.10.2021)**

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიაშვილმა**. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 მარტის N330 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის 2021 წლის 10 ოქტომბრის N1863 განკარგულებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტს „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელებლის მიზნით“ გამოეყო 960000 ლარი, რომელიც მიიმართება: სოფელ ქვიანში სახიდე გადასასვლელის მოწყობა 225362 ლარი, სოფელ მოედანში თ.გუჯაბიძის ეზოსთან სახიდე გადასასვლელის მოწყობა 288810 ლარი, სოფელ ბაღლეფში ფანდისეულის უბანში ასასვლელ გზაზე ხიდის მოწყობა 380954 ლარი და სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო ლაშთანთან ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობა 64874 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის წინადადების საფუძველზე მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული და დამეწყრილი გზების, მდინარეების გასწორხაზოვნების სამუშაოების დაფინანსების მიზნით გამოიყოს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 60000 ლარი. განხილული იქნა ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წერილი და მიზანშეწოლილად ჩაითვალა გაეზარდოს დაფინანსება (ორგ.კოდი 03 01) 150000 ლარით; მათ შორის - საწვავის ფასთა სხვაობის დეფიციტის შევსების გამო 34000 ლარი, საბურავების შეძენისათვის 10000 ლარი და საქონელი და მომსახურების ხარჯი 106000 ლარი.

ხდომას შემოუერთდა საკრებულოს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე.

აღნიშნული ხარჯების დაფინანსება უზრუნველყოფილი იქნას ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 210000 ლარით ზრდის ხარჯზე.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მომართვის საფუძველზე დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში მიზანშეწონილია საქონელი და მომსახურების მუხლის 20000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი (საჭიდაო ლეიბების შეძენა) 20000 ლარით, ასევე შრომის ანაზღაურების მუხლი 3000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სხვა ხარჯების მუხლი 3000 ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტსა და შპს „გურია ტრანს“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე გაიზარდოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯი 25574,74 ლარით.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით ქონდა შეხვედრები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში, სადაც ითქვა, რომ აღნიშნული ობიექტები მიიმართება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებაზე. ხოლო საარჩევნო პროცესების დასრულების შემდეგ საჭიროების გათვალისწინებით გამოიყოფა დამატებითი თანხები სტიქიის სალიკვიდაციო ისეთი სამუშაოებისთვის, რომლის

დასრულებაც მიმდინარე წელს მოესწრება. ამას გარდა, სამომავლოდ უნდა მომზადდეს ხიდების, ნაპირსამაგრიების და სარეაბილიტაციო გზების პროექტები, რის შემდეგაც გადაწყდება, თუ რომელი პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი აღდგენითი სამუშაოები.

ამის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ საფეხბურთო კლუბ „გურია“-დან შემოსულია წერილი გასული წლების დაგალიანებასთან დაკავშირებით. მერის თქმით, საკითხი უნდა იქნას გათვალისწინებული ბიუჯეტში მიმდინარე ცვლილებების განხორციელებისას, რათა გუნდს არ შეექმნას გარკვეული პრობლემები.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

**კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N24 (29.10.2021)**

სხვადასხვა:

საკრებულოს წევრი ელისო ჭიჭინაძე გამოეხმაურა საფეხბურთო კლუბთან დაკავშირებით გაჟღერებულ ინფორმაციას და აღნიშნა, რომ ყოველთვის მხარს დაუჭერს იმას, რომ ლანჩხუთის „გურია“ გადარჩეს. როგორც რიგითი გულშემატკივარი, მაქსიმალურად ცდილობს არ გამოტოვოს გუნდის არც ერთი თამაში, რადგან მიაჩნია, რომ „გურია“ ლანჩხუთელებისთვის არის ბრენდი. საკრებულოს წევრის აზრით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ კლუბი არ დაიშალოს. ეს დაგალიანება აუცილებლად გასასტუმრებელია, რადგან თავის დროზე აღნიშნული თანხის მოძიება კლუბისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხბურთელებს სამი თვის ხელფასი აქვთ აუღებელი. საკრებულოს წევრი დაინტერესდა, როდის იქნება ეს დაგალიანება გასტუმრებული და ვინ არის ამაზე პასუხისმგებელი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რათა აუცილებლად პირად კონტროლზე აიყვანონ ეს საკითხი, რადგან საჩივრის შეტანის შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უნდა გადაიხადოს გასამმაგებული და გაოთხმაგებული ვალეები. საკრებულოს წევრმა უკმაყოფილება გამოთქვა იმასთან დაკავშირებითაც, რომ წინა დღით ფეხბურთის მატი დაიწყო ოცი წუთის დაგვიანებით, რადგან პოლიცია თავის დროზე არ გამოცხადდა სტადიონზე და ისიც გასარკვევია, გუნდზე პასუხისმგებელი პირები თუ იმყოფებოდნენ ადგილზე.

მუნიციპალიტეტის მერის თქმით, დაწყებულია მუშაობა იმასთან დაკავშირებით, რომ კლუბი მომზადდეს აუქციონზე გასატანად, როგორც ქუთაისის „ტორპედო“-ს და სხვა კლუბების შემთხვევაში მოხდა, რადგან მუნიციპალიტეტი ამას ფინანსურად ვერ შეძლებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ განმარტა, რომ მის კომპეტენციაში არ შედის იმის კონტროლი, თუ როდის გამოცხადდება პოლიცია სტადიონზე. კლუბის მენეჯერს უნდა ქონდეს ცხრილი და თამაშამდე სამი დღით ადრე უნდა აგზავნიდეს პოლიციაში. რაც შეეხება დაგალიანებას, მან აღნიშნა, რომ გასული წლის დეკემბერის თვეში გუნდს აქვეითებდნენ მეხუთე ლიგაში იმის გამო, რომ არ ქონდა ლიცენზია. საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის მერმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო და სწორედ ამ თანხაზეა საუბარი. რაც შეეხება სპონსორის თემას, საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ჰქონდათ მათთან საუბარი, სადაც ითქვა, რომ ქუთაისის „ტორპედო“-ს მსგავსად მოხდება გუნდის გადაცემა, რაც სავარაუდოდ მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში უნდა დასრულდეს. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს საფეხბურთო კლუბის საკეთილდღეოდ.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვიციანიამ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ „იმერეთი“-ს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე საშინელ მდგომარეობაშია გზა და როგორმე მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოგვარდეს ეს პრობლემა, რადგან დღითიდღე უარესდება სიტუაცია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე შეეხო უსახური და ავარიული შენობა-ნაგებობების საკითხს და აღნიშნა, რომ არა მარტო აცანის ადმინისტრაციულ

ერთეულში, არამედ მუნიციპალიტეტის მასშტაბით ასეთი ტიპის შენობები აუშნობენ იერსახეს და ამავდროულად გარკვეული საფრთხის შემცველიცაა. მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ხდება ამ ობიექტების აუქციონზე გატანა, მაღალი ფასების გამო ვერ ხერხდება მათი გაყიდვა. საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ თუკი შესაძლებელია, შეიქმნას კომისია, ასეთი შენობა-ნაგებობების შესწავლის მიზნით, რათა რომელი ობიექტიც არ ექვემდებარება აღდგენა-რეაბილიტაციას, მოხდეს მათი დემონტაჟი. გამოთავისუფლებულ მიწის ფართს აღარ ექნება ისეთი მაღალი ფასი და უფრო გაიყიდება.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ქონება, რომელიც არ არის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ამორტიზირებულია, ჩირდება არა კომისია, არამედ ს.ს.ი.პ ლეგან სამხარაულის სახელობის სასამართლო ეროვნული ბიუროს დასჯანა, რომლის მიხედვითაც ესა თუ ის ნაგებობა ექვემდებარება დემონტაჟს. ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტმა უნდა შეისყიდოს შესაბამისი პროექტი და ასევე გადაიხადოს თანხა მათ დაშლაში, რაც საერთო ჯამში თითოეული ასეთი ობიექტისთვის დაახლოებით 50 000-60 000 ლარის ფარგლებში იქნება.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე თავის მხრივ მიესალმება იმას, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში საპროექტო სამუშაოებისთვის გათვალისწინებულია გარკვეული ფინანსები. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ ბიუჯეტში მუდმივად იყოს ეს თანხა ხელმისაწვდომი, რათა ხელი არ შეეშალოს ამა თუ იმ ობიექტების დაპროექტების, ექსპერტიზის, გეოლოგიურ თუ სხვა სახის სამუშაოებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ბოლო წლებია, რაც იმ საპროექტო სამუშაოებისთვის, რომელთა საჭიროებაც იქნება, ადგილობრივი ბიუჯეტი ითვალისწინებს თანხას დაახლოებით 150 000 ლარის ფარგლებში. ასევე ბიუჯეტში კიდევ არის თანხა, განსაკუთრებით, სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებისთვის, რომელთა შესრულებაზეც თანხმობა მიღწეულია, მათ შორის ხიდების, გაუვალი ადგილების და დამეწყრილი გზების სარეაბილიტაციოდ.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ 2014 წელში ადგილზე ერთობლივად დაათვალიერეს შუხუთის საჯარო სკოლა, რომელიც იყო ავარიულ მდგომარეობაში. ამის შემდეგ სკოლის ერთ მხარეს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები. მაშინ მშენებელ-ინჟინრების მხრიდან იყო გაფრთხლება, რომ სკოლის შენობა ძალიან ავარიულ მდგომარეობაშია და აუცილებლად საჭიროა კომისიის მიერ შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება. ამის შესახებ ინფორმაცია საკრებულოს წევრმა თავის დროზე გააჟღერა, მაგრამ ექსპერტიზა არ ჩატარებულა. აღნიშნული სკოლის შენობა დაახლოებით 47 წლის წინაა ამშენებული და როგორც მაშინ მშენებლობაზე მომუშავენი ამბობდნენ-ამენდა უხარისხოდ და გარკვეული ხარვეზებით. როგორც საკრებულოს წევრმა და სოფელ შუხუთის მკვიდრმა თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ სასწრაფოდ მისაღებია ზომები, კერძოდ უნდა შეიქმნას კომისია და სკოლის შენობას ჩაუტარდეს სერიოზული ექსპერტიზა. მან ასევე სურვილი გამოთქვა, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა საკრებულოს წევრი, მონაწილეობა მიიღოს აღნიშნული კომისიის მუშაობაში, რადგან ამ კუთხით გააჩნია გარკვეული გამოცდილება და კომპეტენცია.

ლანჩუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს ყველა სტანდარტის გათვალისწინებით დასრულდა სამი სკოლის სრული რეაბილიტაცია. გარდა ამისა, მიმდინარე წელს საუბარი იყო სუფსის, ნიგოთის, შუხუთის და ასევე ქალაქის სკოლის რეაბილიტაციაზე. ამ კუთხით აქტიურად მიდის მუშაობა და საკითხი არის დასმული, რომ იმავე პროგრამის ფარგლებში 2022 წლისთვის დაიწყოს აღნიშნული სკოლების სრული რეაბილიტაცია. რაც შეეხება კომისიის შექმნას, მუნიციპალიტეტი ამას ვერ გადაწყვეტს, რადგან თავის დროზე პროექტები გაკეთდა რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში. შესაბამისად, დანარჩენ სკოლებთან დაკავშირებითაც იგივე პროგრამებით უნდა მოხდეს პროექტების მომზადება.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ბესიკ კუპრაძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, რის შემდეგ, როგორც ფრაქციის თავმჯდომარემ, მადლობა გადაუხადა იმ ამომრჩეველებს, რომელთაც თავის დროზე ნდობა გამოუცხადა ამ მოწვევის საკრებულოს. მან ასევე მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს, მუნიციპალიტეტის მერს, მერიის თანამშრომლებს და ყველა კოლეგას. ფრაქციის თავმჯდომარემ განსაკუთრებით აღნიშნა საკრებულოს აპარატის გამართული მუშაობა და პასუხისმგებელიანი დამოკიდებულება დაკისრებული მოვალეობებისადმი, რისთვისაც მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის უფროსს

და თითვეულ თამანშრომელს. ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ახალი მოწვევის საკრებულოს უსურვა წარმატებული და შედეგიანი საქმიანობა მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე





გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატთა დასწრების
სარეგისტრაციო ფურცელი

29 ოქტომბერი 2021 წელი
11.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	10:18	
2	ვლადიმერ ნანაძე	10:55	
3	ვერიკო კვიციანი	10:10	
4	ალექსანდრე მახათაძე		
5	გიორგი ჩახვაძე	10:45	
6	გიორგი გვარჯალაძე	10:58	
7	ემზარ თევდორაძე	10:35	
8	ბესიკ კუპრაძე	10:57	
9	გოგი მორჩილაძე		
10	სპარტაკ კვაჭაძე	10:54	
11	ლელა ჩახვაძე		
12	ზაზა წულაძე	10:50	
13	კახა ბოლქვაძე	10:57	
14	ციცინო ჩხაიძე	10:59	
15	კარლო კვიციანიშვილი	10:55	
16	ზურაბ კუკულავა		
17	ოთარ პატიეშვილი		
18	ირაკლი მარშანიშვილი		
19	იოსებ ჩხაიძე		
20	ელისო ჭიჭინაძე	10:50	
21	ამირან ქანთარია		
22	დავით ჩხარტიშვილი		
23	აკაკი იმნაიშვილი	10:15	

24	ზაალ სანაძე	1055	
25	რევაზ კვერენჩილაძე	1056	1. 
26	კახაბერ ასკურავა		
27	ამირან გიგინეიშვილი		
28	ცისანა ურუშაძე		
29	გოდერძი ქურიძე	1055	
30	კახა თედორაძე	1055	
31	რეზო კვაჭაძე		
32	ვენე კვიციანი	1055	